ხელშეკრულება № 17
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქარელი

20 აპრილი 2012 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი), მმართველი გიორგი ბერუაშვილი-ს სახით და მეორეს მხრივ, შპს „კომპაუდი-ს"(შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე; (**CPV 79200000**)

1. ხელშეკრულების საგანი

საფინანსო საქმიანობის ანალიზის მომსახურეობის შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 25 აპრილამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.